


განათლების ხელმისაწვდომობა


სკოლამდელი განათლების მომსახურებების ხელმისაწვდომობა

ამ გამოკვლევის ჩატარების წინა სასწავლო წელს (2021-2022), სკოლამდელი ასაკის ბავშვების 72.3% დადიოდა საბავშვო ბაღში, ბავშვების 21.6% არ დადიოდა სკოლამდელი განათლების სასწავლებელში ოჯახის არჩევანის გამო, ხოლო 6.2% ვერ დადიოდა სხვადასხვა ხელისშემშლელი პირობის არსებობის გამო. საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბავშვების სიარულის დონე ჩამოუვარდება MICS 2018¹-ში დაფიქსირებულ შესაბამის დონეს, როცა 77.9% დადიოდა სკოლამდელი განათლების დაწესებულებაში.




1 მრავალინდიკატორული კლასტერული გამოკვლევა.

სკოლამდელი განათლების მისაღებად ხელისშემშლელი ფაქტორები შემდეგია:




ბავშვების 93.6 პროცენტის მშობლები/ოჯახის წევრები ბავშვის საბავშვო ბაღის მომსახურების ხარისხით კმაყოფილი ან ძალიან კმაყოფილი არიან.




სკოლისა და პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა

სასკოლო ასაკის ბავშვებს (6-17 წლის) 98.4% დადიოდა სკოლაში, უმაღლეს სასწავლებელში და/ან პროფესიულ სასწავლებელში, მათ შორის აბსოლუტური უმრავლესობა, 97.5% - სკოლა, გიმნაზია ან ლიცეუმში. ბავშვების მხოლოდ 0.04 პროცენტი სწავლობდა პროფესიულ სასწავლებელში. ბავშვების 1.6 პროცენტი არ დადიოდა არც ერთ საგანმანათლებლო.




სასკოლო ასაკის ბავშვების მშობლების/ოჯახის წევრების კმაყოფილება 79.7 %-ია. ისინი აღნიშნავენ, რომ კმაყოფილები ან ძალიან კმაყოფილების არიან მათი შვილების მიერ სკოლაში მიღებული განათლებით.




კლასგარეშე აქტივობების ხელმისაწვდომობა (კერძო მომზადება, სპორტი და ხელოვნება)


6-17 წლის ასაკის ბავშვების 18.8% ჰყავს კერძო მასწავლებელი, მაგრამ ბავშვების ზუსტად იგივე წილი, მიუხედავად სურვილისა, ვერ ახერხებს ამას. ასევე, ამ კუთხით განსხვავებებია ბავშვების სხვადასხვა ჯგუფებს შორის.



ხელოვნების სხვადასხვა კლასგარეშე აქტივობებში მონაწილეობა, როგორცაა მუსიკა, ცეკვა და ხატვა, 6-17 წლის ბავშვებში ძალიან დაბალია - 12.2%. ამგვარ კლასებში მონაწილეობის სურვილი აქვს თითქმის ორჯერ მეტ ბავშვს (23.9%), მაგრამ არ აქვს ამის საშუალება.



6-17 წლის ბავშვების დაბალი წილი - მხოლოდ 13.8% - არის ჩართული სპორტის კლასგარეშე აქტივობებში. ეს მაჩვენებელი განსაკუთრებით დაბალია სოფლად მაცხოვრებელი ბავშვების (7.5%), გოგოების (5.5%) და მატერიალური დანაკლისის მქონე ბავშვების (6%) შემთხვევაში.



- სასკოლო განათლებაზე ხელმისაწვდომობის პრობლემა მინიმალურია. სასკოლო ასაკის ბავშვების მხოლოდ 0.1% ვერ ახერხებს სკოლაში სიარულს რამე ხელისშემშლელი ფაქტორის გამო.
- სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობის პრობლემა აქვს სოფლად - 12.4% და ქალაქში - 1.1% ბავშვებს. სკოლამდელი განათლების მიღების ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორებია საბავშვო ბაღის არარსებობა საცხოვრებელი ადგილის სიახლოვეს და ბავშვის მოსაცდელ სიაში ჩასმა.
- ფორმალური განათლების ხარისხით კმაყოფილების დონე ძალიან მაღალია. საბავშვო ბაღში მყოფი ბავშვების 93.6 პროცენტის მშობლები/ოჯახის წევრები კმაყოფილი არიან სკოლამდელი განათლების ხარისხით. ამის მსგავსად, სკოლაში მყოფი ბავშვების 79.7 პროცენტის მშობლები/ოჯახის წევრები კმაყოფილი არიან სკოლის მიერ მიცემული განათლების ხარისხით.
- შედარებით შეზღუდულია არაფორმალური განათლების ხელმისაწვდომობა: სასკოლო ასაკის ბავშვების 18.8 პროცენტს ჰყავს კერძო მასწავლებელი,
 - 12.2% ჩართულია ხელოვნების კლასგარეშე აქტივობებში და 13.8% არის ჩართული სპორტის კლასგარეშე აქტივობებში.
 - ბავშვების 18.8% ისურვებდა, ჰყავდეს კერძო მასწავლებელი.
 - 23.9% ისურვებდა, იაროს ხელოვნების კლასგარეშე აქტივობებზე და 25.3% ისურვებდა, ჩართული იყოს სპორტის კლასგარეშე აქტივობებში, მაგრამ ვერ ახერხებენ ამას, ძირითადად ფინანსების ნაკლებობისა და მათი საცხოვრებელი ადგილის სიახლოვეს ამგვარი წრეების არარსებობის გამო.
 - ასევე ფარდოდ გავრცელებულია საგანმანათლებლო მასალების (სასკოლო სახელმძღვანელოების გარდა) ნაკლებობა: ფულის არქონის გამო ბავშვების 45.3 პროცენტს არ აქვს მისთვის სასურველი სულ მცირე ერთი საგანმანათლებლო მასალა. ყველაზე ხშირად ბავშვებს არ აქვთ: ლეპტოპი/კომპიუტერი, წიგნები, სახატავი მასალები და სამუსიკო ინსტრუმენტები.